

ბიზანტიური ჰიმნოგრაფიის მეორე სკოლა. კანონი

შინაარსობრივი თვალსაზრისით, კონტაკიონებსა და კანონებს შორის დიდი სხვაობა არ შეინიშნება; შინაარსით ისინი – კონტაკიონებიცა და კანონებიც, ღმრთისმეტყველების პოეტურ ნიმუშებს წარმოადგენენ და დიდ მსგავსებას ამჟღავნებენ ქრისტიანულ ჰომილეტიკასთან. ასე რომ, ზოგჯერ მათ ლირიკულ ქადაგებებსაც კი უწოდებენ. ასევე შესამჩნევია ღმრთის სადიდებელი ღაღადისის ტონალობა, რომელიც ფსალმუნებიდან უნდა მომდინარეობდეს.

ბიზანტიურ მეცნიერებაში ჰიმნოგრაფიის ორ სკოლას განასხვავებენ: კონტაკიონებსა და კანონებს. ქრონოლოგიურად კონტაკიონები წინ უსწრებდა კანონებს. როგორც მკვლევართა დიდი ნაწილი ვარაუდობს, მას სათავე VI საუკუნეში უნდა დასდებოდა. უკვე VII საუკუნიდან განვითარებას იწყებს ჰიმნოგრაფიული პოეზიის ახალი სახე – კანონი, რომლის შესატყვისი ტერმინი ქართულში „გალობანია“.

კანონები (kanone~), რომელთა საუკეთესო ნიმუშები ძირითადად VIII-IX საუკუნეებში იქმნებოდა, კონტაკიონებისაგან უწინარესად სტრუქტურით განსხვავდებიან, თუმცა პრინციპულ სხვაობაზე ლაპარაკი არც ამ შემთხვევაში შეიძლება. კანონებში, ისევე როგორც კონტაკიონებში, დაცულია სილაბურობა და მახვილის გარკვეული ადგილი, ანუ, მსგავსად კონტაკიონებისა, ისინიც ბიზანტიური სილაბურ-ტონური პოეზიის ნიმუშებს წარმოადგენენ. აქვთ სტროფული სისტემა; პირველ სტროფს აქაც ირმოსი ეწოდება და იმავე ფუნქციას ასრულებს, რასაც კონტაკიონში. კანონთა ავტორებიც თავიანთ პოეტურ თხზულებებს, ჩვეულებრივ, აკროსტიქითა და რეფრენით ამკობდნენ.

მართალია, კონტაკიონების ავტორებისაგან განსხვავებით, კანონთა შემქმნელებმა ლექსის კვანტიტატის პრინციპით აგება სცადეს,

რისთვისაც იამბური ტრიმეტრის აღორძინება მოინდომეს, მაგრამ უშედეგოდ. თუმცა იამბური ტერფი $+ - \vee$ ბერძნული ენისათვის ბევრად უფრო ბუნებრივი იყო ვიდრე ქორე $- \#$, ან დაქტილი $- \# +$, მაგრამ ანტიკურ ლექსთწყობაზე დაბრუნების მცდელობა მაინც ხელოვნური გამოდგა. საქმე ისაა, რომ შესაძლებლობა იამბის ტრიბრაქად (+++) ქცევისა და ამ გზით ტერფში ხმოვანთა რიცხვის შეცვლისა (ტრიბრაქში, იამბისაგან განსხვავებით, ნაცვლად ორისა სამი მარცვალი გვაქვს), მეტისმეტად მცირეა. ამიტომაც სალექსო სტრიქონში მარცვალთა რიცხვი დადგენილი აღმოჩნდა, სახელდობრ, ანტიკურმა იამბურმა ტრიმეტრმა თორმეტმარცვლოვანი ბიზანტიური სილაბური ლექსი მოგვცა. როგორც ჩანს, ქართველი მთარგმნელები ბერძნული ლექსთწყობის საკითხებში ძალიან კარგად ყოფილან გარკვეულნი, რაზეც ის ფაქტიც მეტყველებს, რომ ბერძნულიდან თარგმნილ, ან მათი მიხედვით შექმნილ საგალობლებს ისინი იამბიკოებს უწოდებდნენ.

როგორც აღვნიშნეთ, კონტაკიონისგან კანონი ძირითადად სტრუქტურით განსხვავდება, კომპოზიციურად იგი ბევრად უფრო რთულია, ვიდრე კონტაკიონი. როგორც წესი, კანონი შედგება სიმღერებისაგან (wldh), რომელთა რიცხვი რვა ან ცხრაა. საქმეს ართულებს ისიც, რომ თითოეულ ოდას, რომელიც მეტწილად სამ ან ოთხ სტროფს შეიცავს, თავისი ლექსთწყობა და რეფრენი აქვს. გარდა ამისა, ყოველი ოდის სტროფებში ტაეპთა გარკვეული რაოდენობა შედის. რაც შეეხება აკროსტიქს, მთელ კანონს გასდევს, ოღონდ იგი არა სტროფული, არამედ სტრიქონულია. რთულ კომპოზიციაზე უფრო მეტად ჰიმნოგრაფიული კანონის აღქმას აძნელებდა მწიგნობრული, არქაული სიტყვებით შემკობილი ენა, რის გამოც იგი მსმენელისათვის, რომელსაც სერიოზული განათლება არ ჰქონდა მიღებული, ხშირად ძნელი გასაგები იყო და მეცნიერულ კომენტარებს საჭიროებდა.

როგორც ბიზანტიური ჰიმნოგრაფიის სახეს – კანონს სათავე წმიდა ანდრია კრეტელის შემოქმედებაში ედება; კერძოდ, მას ეკუთვნის „დიდი კანონი“ (Κανὼν Μεγάλη), რომელიც რიტმული პოეზიის მეორე სკოლის – კანონების უძველეს ნიმუშს წარმოადგენს.

წმ. ანდრია სირიის უძველეს ქალაქში, დამასკოში, დაახლოებით მე-7 საუკუნის შუა ხანებში უნდა დაბადებულიყო. ღმრთისმოსავი მშობლების ოჯახში. მისი ბავშვობისა და სიყმაწვილის წლებზე მეტისმეტად მწირი ცნობებია შემორჩენილი. ვიცით, რომ იგი შვიდ წლამდე მუნჯი ყოფილა. მომავალი მქადაგებელი შვიდი წლის ასაკში ქრისტეს სისხლთან და ხორცთან ზიარების საიდუმლოს ძალამ აამეტყველა. სასწაულებრივი განკურნების შემდეგ, ყრმობიდანვე ღმრთისმოსავი ანდრია წმ. მამათა თხზულებების შესწავლას გულმოდგინედ შეუდგა. ამ ქვეყნად ყველაზე მეტად მას სწორედ მათი კითხვა იზიდავდა. წმინდა წერილსა და ეკლესიის მამათა თხზულებებში განსწავლის წყალობით, ანდრიამ ძალიან ადრე შეიცნო თავის თავში მიდრეკილება განმარტოებული მონაზვნური ცხოვრებისაკენ. მან სოფელი 14 წლისამ დატოვა და იერუსალიმში წმ. საბა განწმენდილის მონასტერში დამკვიდრდა. რამდენადაც მონაზვნობა მისი შინაგანი სამყაროს მოთხოვნილება იყო, მონასტრის მკაცრ ცხოვრებას ძალდაუტანებლად შეეგუა და თვით იერუსალიმის პატრიარქის, წმ. სოფრონიოსის ყურადღებაც კი მიიპყრო. სათნოებით, უბინოებით, თავშეკავებითა და სიმშვიდით კრეტის ეკლესიის მომავალი მწყემსი თვითონ წმინდა პატრიარქსაც აოცებდა.

წმ. სოფრონის ნეტარი აღსასრულის შემდეგ, რადგანაც მუსულმანებისაგან დაპყრობილ იერუსალიმს პატრიარქი აღარ ჰყავდა, საპატრიარქოს მმართველმა თეოდორემ, იცოდა რა თავდადებული მოღვაწეობა მონაზონი ანდრიასი, იგი მდივნად (სვინკელოსად) დანიშნა.

როგორც ცნობილია, ამ დროისათვის ქრისტეს ეკლესია შევიწროებასა და დევნას არა მხოლოდ გარეშე მტრებისაგან – მუსულმანებისაგან, არამედ თვით ეკლესიის შიგნით წარმოშობილი მონოთელიტობის ერესის მიმდევრებისგანაც განიცდიდა. სამწუხაროდ, ამ ერესით არა მარტო სამღვდელოებისა და საზოგადოების ნაწილი, არამედ თვით კონსტანტინეპოლის პატრიარქი სერგიც იყო დაავადებული. იმ დავის გადასაწყვეტად, რამდენი ნება აქვს მაცხოვარს, მხოლოდ ღმრთეებრივი (მონოთელიტობა) თუ ღმრთეებრივიცა და კაცობრივიც, მე-6 მსოფლიო კრების მოწვევა გახდა საჭირო. კრებაზე ნეტარმა ანდრიამ, რომელიც იერუსალიმის ეკლესიას წარმოადგენდა, სულიწმიდის მადლის წყალობით, რომლითაც, ასე უხვად იყო დაჯილდოებული, არა მხოლოდ კრების მონაწილე წმინდა მამების, არამედ საერო ხელისუფლების ყურადღებაც მიიპყრო. კრებაზე დამსწრეთათვის აშკარა გახდა არა მხოლოდ მისი ღრმა განსწავლულობა და მართლმადიდებელი ეკლესიის დოგმატთა დაცვის ხელოვნება, არამედ ის ღმრთივსათნო ცხოვრებაც, რომელსაც ის ეწეოდა. იესო ქრისტეს ჭეშმარიტმა მხედარმა მცირე წვლილი როდი შეიტანა კრების დადგენილების მიღებაში, რომლის მიხედვითაც ჩვენს უფალს – იესო ქრისტეს, თანახმად მისი ორი ბუნებისა (ღმრთეებრივი და კაცობრივი), ნებაც ორი ჰქონდა.

კრების შემდეგ წმ. ანდრია კონსტანტინეპოლიდან ისევ იერუსალიმში დაბრუნდა, რათა თავისი მონაზვნური ღვაწლი უფლის საფლავთან დაესრულებინა. წმინდა ცხოვრება, ერეტიკოსებთან ბრძოლაში განეული ღვაწლი, იშვიათი უნარი მჭევრმეტყველებისა და ღმრთივმიმადლებული ნიჭი საეკლესიო საგალობელთა შექმნისა – ერთად აღებული გახდა მიზეზი იმისა, რომ კონსტანტინეპოლის პატრიარქმა იერუსალიმელი მოღვაწე დედაქალაქში გამოიძახა. მალე იგი წმ. სოფიის საკათედრო ტაძარში დიაკვნად იქნა ხელდასმული. პატრიარქისაგან მიიღო მან,

აგრეთვე, ახალი თანამდებობა ობოლთმზრდელისა. მშვიდი და მორჩილი წმინდა მამისათვის ეს თანამდებობა ზედგამოჭრილი გამოდგა. მოიცავდა რა ყველას თავისი მზრუნველი სიყვარულით, წმ. ანდრია იყო მამა ყველა დაჩაგრულისა, მფარველი ქვრივთა და ობოლთა, დამპყრებელი მშვიერთა და მკურნალი სნეულთა. თავის მოვალეობას ყოველთა მიმართ ისე გულმოდგინედ აღასრულებდა, თითქოს თავად ღმერთს ემსახურებოდა, როგორც ამას ჩვენგან მაცხოვარი მოითხოვს.

ყოველმხრივ გამორჩეული მოღვაწე კონსტანტინეპოლის ეკლესიის წარმომადგენლებმა მალე კუნძული კრეტის უძველეს კათედრაზე მთავარეპისკოპოსად აირჩიეს; კრეტის ეკლესიის სამწყსოსათვის ამგვარი მწყემსმთავარი ჭეშმარიტად ღმრთის წყალობა იყო. წმინდა მღვდელმთავარი თავისი ღმრთივშთაგონებული სწავლებებითა და საგალობლებით უხვად ასაზრდოებდა სულებს ცხოვართა; ამასთან, იგი დაუცხრომელად ზრუნავდა, რათა არცერთი მათგანი არ ჩავარდნოდა ხელთ „გონიერ მგლებს“ – ერეტიკოსებს და მონოთელიტური მწვალებლობის სენით არ დაავადებულიყო.

ჭეშმარიტი მწყემსის თავდადება გამოიჩინა მან მაშინაც, როცა კრეტას თავს სარაცინები დაესხნენ. მართალია, ქრისტიანები მტერს მამაცურად ებრძოდნენ, მაგრამ თავდამსხმელები განდევნილ იქნენ არა იმდენად იარაღით, რამდენადაც ლოცვით მღვდელმთავრისა, რომელიც ყველა იარაღზე უფრო ძლიერი აღმოჩნდა. ცრემლებით, რომელიც წმ. ანდრიამ წინაშე ღმრთისა დაღვარა, მან ვითარცა ისრებით, მოწყლა მტრები. საერთოდ, მის ლოცვას დიდი ძალა ჰქონდა, მას შეეძლო წვიმის მოყვანა გვალვისას და კრეტის მიწის დარწყულება ნაყოფიერებისათვის.

კრეტის დიდებული მწყემსი, რომელმაც ქრისტეს ეკლესიისათვის ესოდენ კეთილად იღვანა, 712 წელს უნდა გარდაცვლილიყო. თავისი ცხოვრების დიდი ნაწილი მან იერუსალიმის ეკლესიაში მოღვაწეობას

მიუძღვნა, რის გამოც წმ. ანდრიას ზედწოდებად კრეტელთან ერთად იერუსალიმელიც შემორჩა. მართალია, იერუსალიმსა და კონსტანტინეპოლში მოღვაწეობასთან შედარებით კრეტის ეკლესიის მესაჭეობა ხანმოკლე გამოდგა, მაგრამ იმდენად ნაყოფიერი, რომ მისი სახელი ამ ეკლესიას სამუდამოდ დაუკავშირდა. როდესაც იგი კონსტანტინეპოლიდან, სადაც საეკლესიო საქმეთა მოსაგვარებლად იყო ჩასული, კრეტაზე ბრუნდებოდა, კუნძულ ლესბოსზე ავად გახდა და თავისი წმინდა სული უფალს მიაბარა. ამ ქვეყნიდან წასვლის შემდეგ, მისთვის მინდობილ სიტყვიერ ცხოვართა კეთილი მწყემსი იმ წმინდა მღვდელთმთავართა შორის შეირაცხა, რომელნიც წინაშე წმინდა სამების ტახტისა დგანან და მას ადამის მოდგმის გადარჩენას ევედრებიან. წმ. ანდრია კრეტელს მართლმადიდებელი ეკლესია 4(17) ივლისსა და დიდი მარხვის პირველსა და მეხუთე კვირაში იხსენიებს, სახელდობრ, იმ დღეებში, როცა ეკლესიაში მის მიერ შექმნილი საგალობელი – „დიდი კანონი“ იკითხება.

ჩვენამდე ანდრია კრეტელის მრავალმა თხზულებამ მოაღწია: ქრისტეს შობაზე, ხარებაზე, ფერისცვალებაზე, მართალი ლაზარეს აღდგინებაზე, ბზობის კვირაზე, ჯვრის აღმართვაზე, ღმრთისმშობლის მიძინებაზე და სხვ., რომელნიც ქრისტიანული მჭევრმეტყველების საუკეთესო ძეგლებად არიან მიჩნეულნი; ქეშმარიტად მისი ხელიდან გამოსული და შემდეგში მისთვის მიწერილი თხზულებების სრული სია შეადგინა ნ. ტომადაკისმა, რომელიც იზიარებს ბიზანტიური ჰიმნოგრაფიის მკვლევართა აზრს იმის თაობაზე, რომ ცხრა ოდისაგან შედგენილი საგალობლის – კანონის შექმნა, რომელმაც ლიტურგიკული პრაქტიკიდან კონტაკიონი (კონდაკი) განდევნა, ანდრია კრეტელის სახელს უკავშირდება.¹

¹ N. Tvmadakh~, jH Buzant inh; uhnograf ia kai; poihsi~, 0essal onikh, გვ.197-201.

კრეტიც ეკლესიის მწყემსთავრის მიერ შექმნილ ჰიმნოგრაფიულ კანონებს შემდეგდროინდელი კანონებისაგან შემდეგი ნიშნები გამოარჩევს: ისინი, როგორც წესი, არ არიან შემკობილნი აკროსტიქით, თითქმის ყველას აქვს მეორე გალობა – „მოიხილესა“, რომელიც უკვე აღარ გვხვდება იოვანე დამასკელისა და კოზმა იერუსალიმელის ჰიმნოგრაფიულ პოეზიაში (როგორც ცნობილია, ოკტოიხოსი – რვა ხმის სისტემა სწორედ მათ შექმნეს). სიმღერას (გალობას) შეიძლება ჰქონდეს ორი ირმოსი.

აქვე შევეხებით საკითხს, რას უნდა გამოენვია მომდევნო დროის კანონებიდან მეორე ოდის „მოიხილესას“ ამოღება და ცხრაოდიანი საგალობლის რვაოდიან კანონად გადაკეთება. მკვლევართა დიდი ნაწილის აზრით, ამის მიზეზი „მოიხილესას“ ხასიათი გახდა; სახელდობრ, რამდენადაც ამ გალობას „მეორე სჯულისაჲ“ ედო საფუძვლად, რომელშიც უგუნური და გულარძნილი ერის ღმრთისაგან განდგომისა და შესაბამისად შემოქმედის შურისძიებაზეა საუბარი, ამდენად მისი სევდიანი და მწუხარე განწყობილება მხოლოდ მარხვის პერიოდს შეესაბამებოდა. აქედან გამომდინარე, სხვა დღეებისათვის ცხრაოდიანი კანონები უკვე მეორე გალობის (ოდის) გარეშე სრულდებოდა, ხოლო მომდევნო პერიოდის ავტორებმა თავიანთი საგალობლებიდან საერთოდ ამოიღეს იგი.²

მართალია, ეს თვალსაზრისი თავისი საფუძვლიანობის გამო ანგარიშგასაწევია, მაგრამ მიზეზს კანონიდან მეორე ოდის დაკარგვისა სრულად მაინც ვერ წარმოაჩენს, რადგანაც არსებობს დღესასწაულებზე შესასრულებელი ცხრაოდიანი კანონები და რვაოდიანი კანონებიც, რომელნიც მარხვის დროს სრულდებიან.

² E. Weillesz, *A History of Byzantine Music and Hymnography*, Oxford, 1961; И. Вознесенский, *О Церковном пении православной греко-росийской Церкви*, Рича, 1890; Е. Ловягин, *О форме греческих церковных песнопений*, 1876 და სხვ.

აღსანიშნავია, რომ ქართულ ლიტურგიკულ პოეზიაში კანონის არქაული სტრუქტურის, კერძოდ, ცხრაოდიანი კომპოზიციის აღდგენის ტენდენცია შეიმჩნევა. უწინარესად, ამის მიზეზი ის უნდა ყოფილიყო, რომ მოგვიანებით, ქართული კლასიკური საგალობლის განვითარების ხანაში, „მოიხილესა“, რამდენადაც იგი შინაარსით „აქებდითსას“ დაუახლოვდა, ცოდვათა გამო სინანულისა და წუხილის გამომხატვის ნაცვლად ქების გამომხატველ გალობად იქცა, რომელსაც ზოგჯერ ხაირეტიზმებიც ამკობდა. საგალობელში მეორე გალობის (ოდის) დაბრუნებას ხელი შეუწყო, აგრეთვე ჰიმნოგრაფიულ კანონში „ცხრის“ საკრალური მნიშვნელობის აღდგენისაკენ მისწრაფებამაც. ქართულ მეცნიერებაში³ გაზიარებულია შეხედულება, რომლის მიხედვითაც ცხრა გალობა ჰიმნოგრაფიულ კანონს არეოპაგიტიკაში წარმოდგენილ ღმრთის ქებისმეტყველ ანგელოზთა ცხრა დასს უკავშირებს.

ანდრია კრეტელის „დიდ კანონს“ პირველი პერიოდის არქაული ტიპის ცხრაოდიანი კანონებისაგან ფორმის თვალსაზრისით მხოლოდ სივრცელე გამოარჩევს. მის შემადგენელ თითოეულ გალობაში ტროპართა რიცხვი ბევრად უფრო დიდია, ვიდრე ეს ჩვენ სხვა კანონებში გვხვდება. თავდაპირველად ეს საგალობელი 210 ტროპარისაგან შედგებოდა, მაგრამ შემდეგში, ლიტურგიკული პოეზიის დანიშნულებიდან გამომდინარე, პატივის მისაგებად მისი ავტორისა და მარიამ მეგვიპტელის მოსახსენებლად, მას კიდევ ორმოცი ტროპარი დაემატა. როგორც ეს საერთოდ, წმ. ანდრიას ჰიმნოგრაფიისთვისაა დამახასიათებელი, დიდი კანონი არ არის განწყობილი აკროსტიქით, მაგრამ აქვს რეფრენი, რომელიც ფსალმუნიდანაა აღებული: „მინყალე მე, ღმერთო, მინყალე მე“.

³ ლ. კვირიკაშვილი, ბიზანტიური ჰიმნოგრაფიული კანონის კომპოზიცია, გვ. 36-37.

მიზეზი იმისა, რომ ქრისტიანული ჰიმნოგრაფიის ამ შედეგს „დიდი“ ეწოდება, მხოლოდ სივრცელე როდია. ამ საგალობელში, როგორც საკრძალავში, ძველი და ახალი აღთქმის ისტორიებიდან დაუნჯებულია კაცთა, როგორც ცოდვით დაცემის, ისე ღმრთივსათნო ცხოვრების მაგალითები და გამოხატულია ავტორის ღრმა და გულწრფელი სინანული იმის გამო, რომ საკუთარი უგუნურებისა და სულიერი უძლურების მიზეზით, იგი უფრო პირველთ ემსგავსა და მართალთა ცხოვრებამდე ვერ ამაღლდა. კრეტის მწყემსმთავარმა გასაოცარი პოეტური ოსტატობით შეძლო, მართალია, შედარებით ვრცელ, მაგრამ მაინც ერთ საგალობელში მოექცია მთელი წმინდა ისტორია, რომელიც, ერთი მხრივ, ღმრთისმოსაობითა და ზნეობრივი ამაღლების გზით ადამის მოდგმის შემოქმედისაკენ სწრაფვის, ხოლო მეორე მხრივ, პირიქით, უსჯულოებისა და ცოდვების ჩადენით მისგან დაშორების ისტორიას წარმოადგენს. მისი გაცოცხლებით პოეტმა მიზნად ადამიანთა ცოდვებით მიძინებული სულების თვითგანსჯისა და სინანულისათვის გაღვიძება დაისახა. თვალის გასწორება საკუთარი ცოდვებისათვის და მათი შეუღამაზებლად წარმოდგენა, მის სულს მწარე სინანულის განცდით აღმოებიერებს და ღმრთისთვის შესაწირ ცრემლებს აღვრევიანებს.

როდესაც წმინდა ანდრია მის მიერ ჩადენილ ცოდვებზე ლაპარაკობს, მხედველობაში აუცილებლად უნდა ვიქონიოთ, როგორც ქრისტიანული გაგება პირველქმნული ცოდვისა, ასევე ზნეობრივი საკითხებისადმი მეტისმეტად ფაქიზი დამოკიდებულება ყმანვილკაცობიდანვე ბერად შემდგარი სულიერი მოღვაწისა, ვისთვისაც გულსა თუ გონებაში დაბადებული ყოველი უღირსი ფიქრი თუ ზრახვა მძიმე შეცოდებას წარმოადგენდა.

„გრძნობადისა ევას წილ წინაშე ჩემსა აღდგა ევა გონებითი – ზრახვაჲ ხორციელისა ვნებისა, წარმომჩენი ტკობათა, რომელთა გემოჲს ხილვა მარადის სიმწარეს გვასმევს“,⁴ – წერს იგი.

მაგალითად ისახავს რა ჭეშმარიტად ქრისტიანულ თავმდაბლობას პავლე მოციქულისა, რომელიც ცოდვილთა შორის თავს ყველაზე ცოდვილად თვლიდა, წმ. ანდრია გულწრფელად წუხს, რომ ძმის მკვლელ კაენს გარდაამეტა, რადგან უკეთურთა გულისთქმათა აღძვრით საკუთარი სულის მკვლელად იქცა:

„გარდავამეტე კაენის მკვლელობასა და შეგინებულთა განზრახვითა და განცხოველებითა ხორცისა, მკვლელად სულისა ვიქეც, აღვძარ რაჲ მას ზედა უკეთურნი საქმენი ჩემნი“.⁵

ფიქრობს რა, რომ ღმრთისგან ბოძებული სიცოცხლე არა კეთილ საქმეთა სამსახურში, არამედ „ვნებათა შინა უღებებითა და უზრუნველობით განვლო“, იგი იმ იმედითლა სულდგმულობს, რომ ყოვლადსახიერი ღმერთი, რომლის კაცთმოყვარეობაც ყოველგვარ ცოდვას აღემატება, ცოდვების საქვეყნოდ აღიარებასა და მათ გამო მძაფრ სინანულს შეიწყნარებს და საბოლოოდ არ განირავს. ამიტომაც მოუწოდებს იგი თავის სულს „პირვანდელი დუმილი დათმოს“ და წინაშე დამბადებელისა შეცოდებანი თვისნი საქვეყნოდ, სინანულის ცრემლებით აღიაროს, ისე როგორც ამას ძველი და ახალი აღთქმის მართალი ადამიანები აკეთებდნენ. არავის შეუძლია უკეთესი ძღვენი მიართვას ყოველთა შემოქმედს, ვიდრე ეს ცოდვათა გამო სინანულით შემუსვრილი და დამდაბლებული გულია. ამიტომაც სრულიად სამართლიანად ეწოდა ანდრია კრეტელის ამ საგალობელს „სინანულის კანონი“ ან „კანონი ღმობიერებისანი“.

⁴ წმინდა ანდრია კრეტელი, დიდი კანონი, ბერძნულიდან თარგმნა და გამოკვლევა დაურთო გ. კოპლატაძემ, თბ., 2007, გვ. 23.

⁵ იქვე, გვ. 23-24.

მიუხედავად იმისა, რომ „დიდ კანონში“ ღმრთისმოსაობისა თუ ცოდვით დაცემისა და მისი სინანულით გამოსყიდვის მაგალითები ბიბლიური წიგნებიდანაა მოხმობილი, ტექსტობრივად იგი მათი ადეკვატური მაინც არაა. როგორც მოაზროვნე და როგორც ბუნებითა და მოწოდებით პოეტური სიტყვის მსახური, ანდრია ცნობილ ბიბლიურ მოვლენებსა და იგავეებს ახალი სახე-სიმბოლოების შინაარსს ანიჭებს. ამის დასადასტურებლად მოვიტანთ მაგალითს, როგორ გადაიაზრა მან თავისი მიზნის შესაბამისად, სახარებისეული იგავი გზად მიმავალი კაცისა, რომელიც ავაზაკებმა გაძარცვეს, მრავალი ჭრილობა მიაყენეს და ცოცხალ-მკვდარი მიატოვეს:

„გულისთქმათა ჩემთა გამო ავაზაკთა ხელში ჩავვარდი და ან მათგან სრულიად დაჭრილს, ტკივილი განმიმრავლდა, გარნა მოვედ ჩემდა, ქრისტე მაცხოვარ და განმკურნე მე.

მღდელმან რაჲ მნახა, თანა-წარმხდა, მიხილა რაჲ ჭირთა შინა განშიშვლებული, ლევიტელმან უგულებელმყო, გარნა, შენ აღმობრწყინვებულო მარიამისგან, იესო, მოვედ და შემინყალე მე“;⁶

ან: „ძველსა მეგვიბტელსა აგარს ემსგავსე, სულო, დაემონე რაჲ ნებელობასა შენსა და შვი ახალი ისმაელი, რომელ არს თავხედობაჲ“;⁷

კიდევ: „ალაბასტრსა ცრემლთასა, ვითარცა მირონს, წარმოვცლი თავსა ზედა, და ვლალადებ შენდა, მსგავსად მეძავისა, მაძიებელისა შენისა, ლოცვასა გწირავ და გვედრები, შენდობაჲ მომმადლო“.⁸

წრფელი მგრძნობელობა და ამ მგრძნობელობის გადმოსაცემად ზუსტად შერჩეული დასამახსოვრებელი შედარებანი თუ მშვენიერი მეტაფორები საგალობლის ღრმა შინაარსს შესაფერისი მხატვრული ფორმით ამკობს და მას მთლიანობაში პოეტური აზროვნებისა და

⁶ იქვე, გვ. 26.

⁷ იქვე, გვ. 42.

⁸ იქვე, გვ. 77.

მეტყველების დიდებულ ძეგლად აქცევს. ასე რომ, ვერ დავეთანხმებით ბერძნული მწერლობის ცნობილ მკვლევარს, ბერნარდის, რომლის აზრითაც, „პოეზიას, ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით ბიზანტიელები არ იცნობდნენ, ის მათ არასდროს ჰქონიათ; საშუალო საუკუნეთა საბერძნეთი, რომელიც სქოლასტიკის ბორკილებით იყო შებოჭილი, მოკლებული იყო პოეტურ განწყობილებას, გემოვნებასა და შეგნებას კეთილშობილი ხელოვნებისა და ფორმების სიმარტივისა“.⁹

სამწუხაროდ, ბიზანტიური ჰიმნოგრაფიული პოეზიის შესახებ ასეთი თვალსაზრისი მხოლოდ XIX საუკუნის ბიზანტოლოგიაში როდი არსებობდა. ბიზანტიური რიტმული პოეზიისა, და საერთოდ მწერლობისადმი, ამგვარ დამოკიდებულებას თანამედროვე მეცნიერებაშიც არაიშვიათად ვხვდებით, რაც უფრო წინა საუკუნეების აღიარებულ მეცნიერთა ავტორიტეტის გავლენის შედეგად უფრო გვესახება, ვიდრე შედეგად ბიზანტიური ლიტერატურული ძეგლების დამოუკიდებელი კვლევისა.

* * *

როგორც ცნობილია, სინანულის კანონი ძველ საქართველოში სამჯერ უთარგმნიათ – ექვთიმე მთაწმიდელს, გიორგი მთაწმიდელსა და არსენ ბერს.¹⁰ ამათგან მხოლოდ არსენ ბერის სახელით ცნობილი თარგმანია გამოქვეყნებული „მარხვანში“.¹¹ ეს არსენი ის მონაზონი არსენი უნდა იყოს, რომელსაც დავით აღმაშენებლისადმი მიძღვნილი ენკომიონი – სადიდებელი საგალობელი ეკუთვნის – „მეფესა დავითს – მონაზონი არსენი“.¹² ამგვარი ვარაუდის გამოთქმის საშუალებას ის ანდერძი

⁹ Bernardy, Grundriss dez grieschen Literatur, II 7, გვ. 771.

¹⁰ სამივე თარგმანის ხელნაწერებზე მუშაობის საშუალება ქართული ჰიმნოგრაფიის ცნობილმა მკვლევარმა ქნმა ლაურა გრიგოლაშვილმა მოგვცა, რომელსაც თავის დროზე ეს ტექსტები გამოჩენილი ქართველი მეცნიერის ელენე მეტრეველის დავალებითა და მეთვალყურეობით გადმოუწერია, რისთვისაც დიდ მადლობას მოვასხენებთ.

¹¹ „მარხვანი“, ექ. ხელაძის სტამბა, თბ., 1901.

¹² ძვ. ქართული პოეზია, V-XII სს. ტ. I., შეადგინა სარგის ცაიშვილმა, თბ., 1979, გვ. 1731-6.

გვაძლევს, რომელიც არსენს თავისი თარგმანისათვის დაურთავს და რომელშიც აღნიშნავს, რომ ანდრია კრეტელის „დიდი კანონი“ დავით აღმაშენებლის თხოვნით თარგმნა; აქვე იგი ასახელებს იმ მიზეზებსაც, რომელთა გამოც, როგორც ჩანს, ქართველთა მნიგნობარ მეფეს ამ საგალობლის ხელახლა თარგმნის საჭიროება დაუნახავს. ანდერძში ვკითხულობთ: „ვინაჲთგან წმიდათა მამათა და დიდთა მნათობთა ჩუენთა, ეფთჳმის და გიორგის, მთაწმიდელთა, ორგზის უთარგმნიეს წმიდისა ანდრეა, კრეტელთა მწყემსთმთავრისა, მიერ აღწერილნი ესე გალობანი; და პირველსა მას მეტად შეემოკლნეს, რამეთუ საღმრთოჲსა წერილისა სახისმეტყუჴლებნი ყოველნი დაეტევნეს და ნაცვლად მათდა სინანულისა დასდებლები შეემატა, ვითარცა მხოლოდ სულთა სარგებელისა ხოლო და არა წიგნთა ძალისაცა უნაკლულოებისა მეძიებელსა; ამას თანა კმისაგანცა თჳსისა და ძლისპირთაგანცა შეეცვალნეს; ხოლო მეორესა უზომოდ განევრცნეს. რამეთუ წმიდისა თქუმიული ყოველი სრულებით ეთარგმნა და მამისა ეფთჳმის შემატებულნი იგი დასდებელნი არავე დაეტევნეს, ვითარცა თჳთ აღიარებს წმიდითა პირითა თჳსითა და დაღათუ კმაჲ არა შეუცვალა, გარნა თჳსთა ძლისპირთა ზედა თარგმნაჲ არცა მას გულს ედგინა“.

მაშასადამე, კლება-შემატების თავისი მეთოდით, ექვთიმეს თარგმნისას ტექსტიდან საღმრთო წერილისეული სახისმეტყველებანი გამოუტოვებია და სამაგიეროდ მასში სინანულის გალობანი შეუტანია, რადგან, როგორც არსენი ამბობს, წმიდა მამა ტექსტის სისრულეზე მეტად სულის სარგებლისათვის ზრუნავდა; გარდა ამისა, საგალობლისათვის მას მისი ხმა და ზოგიერთი ძლისპირიც შეუცვლია; ხოლო გიორგი მთაწმიდელს დიდი კანონი „უზომოდ“ გაუვრცია იმით, რომ წმ. ანდრიას ტექსტიც მთლიანად უთარგმნია და არც ექვთიმეს ჩამატებული ადგილები ამოუღია. ამასთან, თუმცა საგალობლისათვის

ხმა არ შეუცვლია, მაგრამ ძლისპირები ზუსტად არც მას უთარგმნია. აქედან გამომდინარე, როგორც მონაზონი არსენი წერს: „ესრეთ მიძიმედ რადმე ტურთად ზედა ესხნეს ორნივე იგი ყოვლისა საქართველოჲსა ეკლესიათა“. ამიტომაც დაუვალებია დავით მეფეს დიდი კანონის მესამედ თარგმნა არსენ ბერისათვის, რომლის პოეტურ ნიჭში ალბათ მისდამი მიძღვნილმა საგალობელმაც დაარწმუნა. როგორც თვითონ არსენ ბერი წერს, ამისთვის „იკადრა მან მესამედ თარგმნა“ ანდრეა კრეტელის „დიდი კანონისა“ „უცვალებელად თვისსა კმისაგან... ბრძანებითა და ჯერ ჩინებითა კუალად მსახურისა და ღმრთივ დაცვულისა დავით აფხაზთა და ქართველთა და რანთა და კახთა მეფისაჲთა“.

თუ დავით მეფის ცნობილ საგალობელს – „გალობანი სინანულისანი“ გავიხსენებთ, გასაგები გახდება მისი დაინტერესება წმ. ანდრიას ჰიმნოგრაფიული კანონით. რამდენადაც ძველ ქართულ პოეზიაში ტერმინ „კანონს“ „გალობანი“ შეესაბამებოდა, ჩვენი დიდი მეფის პოეტური ქმნილების სათაური ზუსტად იმეორებს იმ სახელწოდებას, რომლითაც კრეტის მწყემსმთავრის საგალობელს ლიტურგიკულ პრაქტიკაში იცნობდნენ – „სინანულის კანონი“. ესეც რომ არ იყოს, ამ ორი ნაწარმოების შინაარსის შედარებითი ანალიზი აშკარად წარმოაჩენს, რომ „გალობანი სინანულისანის“ შექმნა სახელოვან მეფეს სწორედ „დიდმა კანონმა“ შთააგონა.

იქიდან გამომდინარე, რომ „დიდი კანონი“ ღმრთისმოსაობისა და ცოდვათა ქმნის მაგალითების გადმოცემის თვალსაზრისით მთელ წმიდა ისტორიას მოიცავს, ავტორი ცდილობს როგორც უხვი მასალა, ასევე საკუთარი კომენტარებიც, რაც შეიძლება მოკლედ, რამდენიმე სიტყვით გადმოსცეს. თუ ამგვარ მეტისმეტად ლაკონურ სტილს ძველი ქართული ენის სინტაქსსა და იმ ლექსიკურ ერთეულებსაც დავუმატებთ, რომელთაც დღეს აღარ ვიყენებთ, გასაგები გახდება სირთულებები, თანამედროვე

მკითხველს ტექსტის წაკითხვისას რომ ხვდება. უპირველესი მიზანი ანდრია კრეტელის საგალობლის ქართულ ენაზე მეოთხედ თარგმნისა¹³ სწორედ ეს იყო: რაც შეიძლება, ხელმისაწვდომი გაგვეხადა იგი დღევანდელი მკითხველისათვის და თანაც ისე, რომ არც დედნის სიზუსტე დაგვერღვია და შეძლებისდაგვარად, ის მხატვრული ღირსებებიც შეგვენარჩუნებინა, რომელიც მას არა მხოლოდ ბიზანტიურ, არამედ, საერთოდ, ჰიმნოგრაფიულ პოეზიაში გამოარჩევს.

კანონის გალობებს შორის, პატივის მისაგებად ღირსი მარიამ მეგვიპტელისა, ვინც ზნედაცემულობის უფსკრულიდან წრფელი სინანულის გზით ზეციურ სასუფეველამდე ამაღლდა, ჩართულია ორ-ორი ტროპარი, ისინი, ჩვეულებრივ, ე.წ. სამებისა და ღმრთისშობლის ტროპარების (სამებისანი და ღმრთისმშობლისანი) წინ არიან მოთავსებულნი და საკუთარი რეფრენით, „ღირსო, მარიამ, შენ შეგვეწიე“, გარკვეულწილად, დამოუკიდებელ მთელს ქმნიან.

¹³ ანდრია კრეტელი, დიდი კანონი, თსუ, (ორი ქართული რედაქცია ორიგინალთან ერთად კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტი. გამომცემლობა ლოგოსი, თბ., 2007.